ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N17

2014 წლის 27 ივნისი

დ. ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებაში (სსმ, 30.12.2013) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით „გ) საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებისა და ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებული (მოწამლული) პირებისადმი ყოველთვიური და ერთჯერადი ფულადი დახმარება.

მუხლი 2.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით. „მუხლი 5. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებისა და ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებული (მოწამლული) პირებისადმი ყოველთვიური და ერთჯერადი ფულადი დახმარება.

1. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახები და ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად

დაზარალებული (მოწამლული) პირები ერთჯერადად მიიღებენ ფულად დახმარებას 300 (სამასი) ლარის ოდენობით , აგრეთვე ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სათბობის შესაძენად თითოეული ოჯახი და დაზარალებული დამატებით მიიღებს 200 (ორასი) ლარს.

2. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებისადმი, (რომლებიც საბრძოლო ოპერაციის შესრულებისას მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალნენ 1993 წლის 30 სექტემბრის შემდეგ) ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებული (მოწამლული) პირთათვის 100 (ასი) ლარის ოდენობით.

3. ყოველთვიური დახმარების დასანიშნად მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: ა). წერილობითი განცხადება; ბ). განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი; გ). გარდაცვალების მოწმობის ასლი; დ). გარდაცვლილის პირდაპირი მემკვიდრის დამადასტურებელი დოკუმენტი ე). შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი ცნობა; ვ) ცნობა საბანკო ანგარიშის შესახებ.

4. დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 3.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-17 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

„მუხლი 17. 0-დან 18 წლამდე ასაკის პირებს რომელთა ოჯახებს მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 70001-დან 120 000-მდე სამედიცინო სტაციონარულ მომსახურებაზე დახმარება“.

მუხლი 4.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

„1. 0-დან 18 წლამდე ასაკის პირები, რომელებიც საჭიროებენ სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებას და რომელთა ოჯახებს მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 70001-დან 120 000- მდე გაეწევათ ერთჯერადი დახმარება“.

მუხლი 5.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე